პროფესიული და უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) აცხადებს კონკურსს პროფესიული სტანდარტების და ჩარჩო დოკუმენტების კოორდინატორის შერჩევის მიზნით

კონკურსი ცხადდება **2017 წლის 06 იანვარს** და განცხადებების წარდგენის **ბოლო ვადაა 2017 წლის 12 იანვარი.**

ადგილების რაოდენობა **- 1**;

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა წერილის სათაურის ველში აუცილებლად უნდა მიუთითოს ვაკანსიის დასახელება „**პროფესიული სტანდარტების და ჩარჩო დოკუმენტების კოორდინატორი“,** წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოხდება განაცხადის განხილვა.

პროფესიული სტანდარტების და ჩარჩო დოკუმენტების კოორდინატორის თანამდებობის მიმართ დადგინილია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) ძირითადი მოთხოვნები:

ა.ა) აკადემიური უმაღლესი განათლება - მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ა.ბ) პროფესიული განათლებისა და შესაბამისი კვალიფიკაციების სპეციფიკის ცოდნა;

ა.გ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Ms. Word, Ms. Excel, Ms. Power Point, Outlook) ცოდნა და ეფექტური პრეზენტაციის უნარები თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებით;

ა.დ) ქართული ენის სრულყოფილად ფლობა -(საუბარი, კითხვა, წერა);

ა.ე) ინგლისური ენის კარგად ფლობა (საუბარი, კითხვა, წერა);

ბ) დამატებითი მოთხოვნები:

ბ.ა) პროფესიული განათლების საკითხებთან დაკავშირებული პროგრამების/ პროექტების მართვის და/ან მათში მუშაობის გამოცდილება;

ბ.ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებზე მუშაობის გამოცდილება;

ბ.გ) სასაურველია კანდიდატი იცნობდეს პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე პროცესებს.

პროფესიული სტანდარტების და ჩარჩო დოკუმენტების კოორდინატორის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

ა) ახალი პროფესიული სტანდარტების და ჩარჩო დოკუმენტების შემუშავების პროცესის ორგანიზება და კოორდინაცია;

ბ) პროექტის ფარგლებში დაკონტრაქტებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან თანამშრომლობა;

გ) დაინტერესებული მხარეებისათვის ტრენინგებისა და კონსულტაციების ჩატარების უზრუნველყოფა.

პროფესიული სტანდარტების და ჩარჩო დოკუმენტების კოორდინატორის თანამდებობაზე შერჩეულ **პირთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით წარმოშობილ** შრომით

ურთიერთობებზე და ამ ვადის განმავლობაში მისი შრომის ანაზღაურება განისაზღვრება თვეში 1600 ლარის ოდენობით.

პროფესიული სტანდარტების და ჩარჩო დოკუმენტების კორრდინატორის თანამდებობაზე კონკურსში მონაწილე კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა) საქართველოს კანონი ,,პროფესიული განათლების შესახებ";

ბ) ,,ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის №120/ნ ბრძანება;

გ) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 04 აგვისტოს №733 ბრძანება - პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის, ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ;

დ) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 17 ივნისის №434 ბრძანება - დარგობრივი საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ;

პროფესიული დარგობრივი საბჭოების კოორდინატორის კონკურსში მონაწილე კანდიდატი უნდა იცნობდეს დასაქმებისა და განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორებს (ISCO, ISCED).

კონკურსში მონაწილე კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი პერსონალური უნარები:

ა) სწრაფი რეაგირების და გადაწყვეტილების მიღების;

ბ) ანალიტიკური და სისტემური აზროვნების;

გ) ზეპირი და წერილობითი საქმიანი კომუნიკაციის წარმოების;

დ) შემჭიდროვებულ ვადებში მუშაობის;

ე) მოლაპარაკების ეფექტურად წარმართვის;

ვ) გუნდური მუშაობის, გუნდის შექმნის;

ზ) მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა.

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა ცენტრის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე info@eqe.ge აუცილებლად უნდა გამოგზავნოს:

ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია - (CV) ქართულ ენაზე;

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად:

ა) განცხადებების გადარჩევა;

ბ) გასაუბრება.